№ 8 23 იანვარი, პარასკევი 1866—1876 23 იანვარი, პარასკევი № 8

რედაქცია

მელიქმინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგემტოვის სახლებში.

ხელის მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

[illegible]

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანციცზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცერონით, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს. დაუბეჭდავი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

განცხადება

თფილისის ქალაქის რჩევა (უპრავა) საყოველთაოთ აცხადებს, რომ, რადგანაც ქალაქის ხაზინაში დასაფასებელი ხარჯი (ოცენოჩნი სბორ) თავის დროზე არ შემოდის, ამის გამო შედგენილია სია ყველა იმ მცხოვრებთა ქონებისა, რომელზედაც ეს გადასახადი ითვლება და გაგზავნილია უფ. თფილისის უფროს პოლიციმეისტერთან, რათა „ქალაქის წესდების“ 131 მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად მოიქცეს. ამ კანონის ძალით, დანიშნულს დროზე გადაუხდელი ქალაქის ხარჯი უნდა შეივსოს იმ ქონების შემოსავლის მოკვეთით, რომელსაც ეს ხარჯი აძევს; თუ ეს არ იკმარებს, მაშინ მოძრავი ქონება უნდა გაისყიდოს და თუ, ამ ხარჯის გადასახდელად, არც ეს იქნება საკმარისი, მაშინ ის უძრავი ქონებაც გაისყიდება, რომელზედაც ქალაქის ხარჯი ითვლება, და გაისყიდება იმ წესით, როგორც კანონი ამგვარი მამულების ხაზინის სასარგებლოთ გასყიდვას მოითხოვს.

ამასთანავე რჩევა წინათვე აცნობებს იმ პირთ, რომელთ ქონებაზე უფრო მომეტებული გადაუხდელი ხარჯი ითვლება, რომ, თუ ამ ხარჯის დროზე შემოტანაზე არ იზრუნავენ, იმათი სახელი ყველა ადგილობრივ გაზეთებში იქნება გამოცხადებული

რჩევის მწევრი ი. ფონდოევი

საქართველო

ქალაქის ხარჯის შემოტანაზე

ამ სტატიის ზემოთ, დღეს, იბეჭდება ჩვენი ქალაქის რჩევის (უპრავის) განცხადება იმის თაობაზე—თუ რა ღონის-ძიებას იხმარს ეს რჩევა იმ პირთ წინააღმდეგ, რომელნიც თავის დროზე ქალაქის ხვედრ ხარჯს არ შემოიტანებენ.

ვინც თავის დროზე ხარჯს არ შემოიტანსო, ჯერ იმ უძრავი მამულის შემოსავალი მოეკვეთებაო, რომელზედაც ხარჯი არის დადებულიო; მერე იმის მოძრავი ქონება გაისყიდებაო და შემდეგ კი უძრავიო. ამასთანავე ადგილობრივ გაზეთში ჩაიბეჭდება ამგვარი პირების სახელიო.

როგორც ხვდავთ, ღონის-ძიება სასტიკია, თუმცა სრულს კანონიერს საფუძველზედ კი არის დამყარებული.

თუ ძველი ბამგეობის მოთავეების მოქმედებას გავიხსენებთ, მაშინ ამგვარი სისასტიკე აღარ გაგვაკვირვებს: ადრე იმ პირთ, რომელნიც თავის დროზე ქალაქის ხარჯს ვერ იხდიდნენ, ქუჩაზე იჭერდნენ და ერთი, ორი და ხან სამი დღის განმავალობაში ქალაქის საგამგებოში ჰყავდათ დამწყვდეული. იჭერდნენ, რასაკვირველია, იმისთანა საწყალ ხალხს, რომელსაც დაიმრიყვებდნენ, რომელსაც ჩივილი არ შეეძლო. შეძლებულებს კი, რომელთაც ათასი მანეთობით ემართათ ქალაქის ხარჯი, თითქმის ხმასაც არ სცემდნენ.

შესანიშნავია მართლა, რომ მდიდარი და ფულიანი ხალხი უფრო აჯანჯლებს ამ შემთხვევაში საქმეს, უფრო არ იძლევა ქალაქის ხარჯს, ვიდრე ღარიბი და ღატაკი. არიან ჩვენს ქალაქში იმისთანა მდიდრები, რომელთაც რამდენიმე წლის ხარჯი არ გარდუხდიათ, რომელთაც ორი, სამი და ზოგს ცხრა ათასი მანეთი მართებთ ქალაქის ხარჯი.

როგორ არ გამოეყუენოთ ამ გარემოებიდამ ის დასკვნა, რომ შეძლებულ ხალხს არ ესმის ქალაქის ბიუჯეტის მნიშვნელობა, არ ესმის, რომ ამ შემოსავლიდამ უნდა გაკეთდეს ყველაფერი, რაც ქალაქის სიმდიდრეს, სიმშვენიერესა და აუცილებელ საჭიროებას შეადგენს? რომ მხოლოთ ამ შემოსავლიდამ შეიძლება ეღირსოთ ქალაქის შკოლების გამართვას, წყლის გაყვანას, გაზით ქუჩების განათებასა და სხვ. და სხვ.

მაგრამ არა; ყველა ეს ამათ ძალიან კარგათ ესმისთ; მაგრამ საქმე იმაშია, რომ თვითონ მაინცა-და-მაინც არ გრძნობენ ამ საჭიროებათა, თვითონ კმაყოფილნი არიან და სხვისთვის, ქალაქისთვის, საზოგადო სარგებლობისთვის, აბა თქვენგან არ მიკვირს—რას იზრუნავენ!

ხსენებული განკარგულების სასტიკად შესრულება, მაშ ჩვენის აზრით, უფრო მდიდრებისთვის იქნება საგრძნობელი, ჩვენს ქალაქში, ვიდრე ღარიბებისთვის.

ამას გარდა ამ შემთხვევაში ჩვენ ის იმედიც გვანუგეშებს, რომ, ახალი ქალაქის თავის ხელში, აქამდე ყოველგვარი უკანონო და უთანასწორო ღონის-ძიების ხმარება სამუდამოთ მოისპობა, რომ ღარიბს ყოველი კანონიერი საშუალება მიეცემა ვალის გადახდის შემსუბუქებისათვის.

დღიური

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების გამომცემელთ, სხვათა შორის, შემდეგი წიგნების დაბეჭდვა გადაუწყვეტიათ: ა) არითმეტიკის სახელმძღვანელოსა (სახალხო შკოლებისათვის), ბ) საქართველოს და საზოგადო შემოკლებული გეოგრაფიისა, გ) საქართველოსა და აგრეთვე მსოფლიო შემოკლებული ისტორიისა, დ) წმინდა ნინოს, ქართველთ განმანათლებლის ცხოვრებისა და ამ მოკლე ხანში ე) თ. ნ. დადიანის (ამ საუკუნის დასაწყისის ისტორიკოსის) „ქართველთ ცხოვრებისა“, (სრულად ან მარტო უკანასკნელის ნაწილისა).

ამას გარდა ჩვენ გვეუბნებიან, რომ უფ. აკაკის განზრახვა აქვს, რომ გამოსცეს ჩვენი წარსული საუკუნის ნიჭიერი მწერლის დ. გურამიშვილის „სიბრძნე-სიცრუის წიგნი.“

***

დიდს უწესოებას გვწერენ შორაპანი-თფილისის რკინის გზის სტანციებიდამ: მიქათუბნისა და ხაშურის სტანციებზე ხალხზე ბილეთებს ჰყიდიან თურმე, ფულებს ართმევენ და ბოლოს კი უცხადებენ, რომ გზა არ არისო, თუ გნებავთ უკან დაბრუნდით, საიდამაც მოსულხართო.

სურამის ქედზე საშინელს თოვლს ამბობენ; მოგზაურები ფეხით გადმოდიან თურმე ამ ქედზე და თქვენ წარმოიდგინეთ—რა სასიამოვნო უნდა იყოს ამ დროს, ამ თოვლში ფეხით თოთხმეტი ვერსის გავლა! სწორედ გმირობათ შეიქნა ამ ჟამად სურამის ქედზე გადმოსვლა...

ფელეტონი

ხარლამპიოს მოგონაკის წერილებიდამ *)

კანდია არის ერთი უმდიდრესი და უტურფესი მხარეთაგანი დედა-მიწის ზურგზედ და ამის გამო, ძველ დროითგანვე გარეშე მტრები ფუტკრებივით ეხვეოდენ, რომ ხელში ჩაეგდოთ; მაგრამ სარწმუნოებისა და სამშობლო ენისათვის თავ-გაწირული ერი რაინდულ-საკვირველებას იჩენდა და თავს არავის უმონებდა.

ხალხი სწყდებოდა უსუსტარს ომში; მაგრამ, რამდენსაც მატერიალურად უძლურდებოდა, იმოდენათ უფრო და უფრო ზნეობითად მაღლდებოდა.

რამოდენიმე საუკუნის განმავალობაში, მტრისაგან გამკლავებული ერი, ბოლოს მოიხიბლა ცბიერისა და სირინოზებრივ შემოპარულის ოსმალოსაგან: მიენდო ძმობით და დაედგა მონების უღელი...

ახალ-დაპყრობილის მხრის მმართველათ დანიშნეს გამაჰმადიანებული ყანდიელი ქედი-ოლლი-ფაშა, რომელმაც იცოდა ხასიათი თავის ერთ-ქვეყნელებისა და რომელსაც იმ ხალხის გადარჯულება დიდანჰა აკისრებია. ფაშამ პირველათვე შემდეგი ჰაზრი შეიტანა ნაზირ-ვეზირთან: „რადგანაც ამ ხალხის დამონება ძალადატანებით არ მოხერხდება, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ის ზნეობითად დავსცეთ, მაღალი სული მოუკლათ, მივაჩვიოთ ნელ-ნელა სიცრუეს, ერთის სიტყვით, ბანგი შევაპაროთ, და მაშინ ჩვენი სურვილი ადვილად შესრულდებაო.“ ეს ჰაზრი თვითქმის კანონად მიიღეს შემდეგმა მმართველებმაც და მართლადაც, რამოდენიმე წლის განმავალობაში დასცეს და გააუბედურეს ოდესმე შესანიშნავი ერი.

ათინის მაღალმა სასწავლებელმა გამოზარდა რამოდენიმე ყანდიელი. ესენი დაბრუნდენ თუ არა თავის ქვეყანაში, შეუპოვრად დასცეს კიჟინა დროებითად მიძინებულ ერს და ცოტა არ იყო, რომ თვალები გამოაჭყეტინეს. მათ დროში ბევრი რამ ცვლილება მოხდა კანდიაში და სხვათა შორის მონობაც მოისპო.

ბატონ-ყმური დამოკიდებულობა დაირღვა, მაგრამ რომ უნდოდა, ისე კი ვერა: ბატონები კაცის სულებს აღარ ჰფლობდენ პირუტყვებსავით, როგორც ადრე, მაგრამ მაგიერში მიწები ჩამოერთოთ. ერთის მხრით, ეს საშინელი მდგომარეობა იყო გლეხებისთვის, მაგრამ მეორეს მხრით კი როგორც ჰქუხდა, ისე არა წვიმდა; ბატონები, თუ არ ისევ გლეხების დახმარებით, როგორღა მოიხმარდნენ მიწა? და ამ გვარათ ისევ გლეხებს უნდა მიკედლებოდნენ ძმობითა და ამხანაგობით. და მართლადაც, ნელ-ნელა მაღალ-წოდების მიწა-წყალი გადადიოდა მუშების ხელში.

მოწინავე კაცებმა იფიქრეს და ასე გადასწყვიტეს: მაღალ წოდების ხალხი, რომელსაც ოდესმე ჰქონდა მნი-

*) 1869 წელს გამოვიდა პარიჟში ერთი პატარა ბროშურა, სახელად „Notice sur la Candie,“ par Charlampius Mohonaki. ეს ხარლამპი მოგონაკი დამსწრე პირია უკანასკნელს კანდიის არეულობაში და, როგორც ეტყობა არეულობის შინაური ამბები კარგათ იცის. აქ მოგვყავს რამდენიმე ადგილი იმის შრომიდამ.

გ. ქ.

თითქმის ერთი კვირა სრულდება, რაც იმერეთიდამ ფოჩტა არ მოდის ქალაქში და, უეჭველია, არც აქედამ იქ მიდის.

დღეს დილით რამდენიმე ფოჩტა ერთად მოვიდა.

*
* *

რადგან თოვლზე და გზების გაფუჭებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ვიტყვით, რომ, როგორც „თფილისის მოამბე“ გვაცნობებს, ვლადიკავკასიდამ როსტოვს მიმავალი რკინის გზის მატარებელი სადღაც გზაზე გახირებულა თოვლში ისე, რომ ლოკომოტივის ტრუბის მეტი არა მოჩანს რაო. ამ ვაგონებში ახალგაზდა სალდათები ყოფილან. მისაშველებლად ვლადიკავკაზიდამ კაცები და სურსათი გაუგზავნიათ.

*
* *

ჯერ სანამ თვითონ ახლად გამოსულს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე რასმეს ვიტყოდეთ, საჭიროთ ვრაცხთ, დავბეჭდოთ ამ წიგნის გამომცემელთთ წინასიტყვაობა:

„ეს ლექსთა-კრება ნიკოლოზ მელიტონისძის ბარათაშვილისა გადმოგვჰდეთ ჩვენ თვით პოეტის საკუთარის ხელნაწერთაგან, რომელნიც ეკუთვნოდნენ თ. ბრიგოლ დიმიტრის ძეს ორბელიანსა. ხოლო ოთხი, ბოლოს მოქცეული, ლექსი სხვა ხელნაწერებში ვიპოვეთ. მათ შორის „ჩინარი“ ზედ-მიწევნით ვიცით, რომ ნ. ბარათაშვილის თქმულია, დანაშთენს სამს ლექსზედ კი მაგას ვერ ვიტყვით, თუმცა ნ. ბარათაშვილის სიტყვის კილო და სიცხოველე მართლ-გრძნობისა ზედ აჩნევია. სამწუხაროდ ჩვენდა უნდა ვსთქვათ რომ, ერთის დედანის გარდა, ვერსად ვერ ვიშოვეთ სხვა ნამდვილი ხელ-ნაწერი პოეტისა ანუ სარწმუნოთა გვამთა გადმონაწერები, რომ შეგვედარებინა ერთმანეთთან და ისე შეგვერჩია შეთანხმებული დაგვებეჭდა.

„დავბეჭდეთ კი ეს წიგნი, მაგრამ მით ჩვენი გულითადი წადილი მრთლად არ დაკმაყოფილებულა. ჩვენ გვსურდა ყოველი თხზულება ამა ჩვენის ნიჭიერის პოეტისა, ყოველი ნაწერი, ყოველი მიწერ-მონაწერი მისი და ამასთანავე ყოველივე ცნობა მის ყოფა-ცხოვრებაზედ შეგვეკრიფა და იმისთანა სრული წიგნი დაგვებეჭდა, რომ ეს ჩვენი საუცხოვო მწერალი გამოხატულიყო ჩვენის საზოგადოების წინაშე სრულის თავის თვისებითა. მს წადილი ჩვენი დაბრკოლდა მით რომ ვერსად ვერ ვიხელთეთ ვერც სრული თხზულება ნ. ბარათაშვილისა და ვერც სრული და ჭეშმარიტი ამბავი მისის ყოფა-ცხოვრებისა. იმედი გვაქვს რომ ჩვენის ქართულის სიტყვიერების მოყვარენი ამაში შეგვეწევიან და ვისაც რა ეგულება სადმე ნ. ბარათაშვილის თხზულება, თუ ნაწერი რამე, ანუ მის ყოფა-ცხოვრებაზედ ცნობა, გადმოგვცენს ჩვენ, რომ დღეს არა, საკვლაოდ მაინცა შესაძლო გვექმნას წარმოუდგინოთ ქართველობას მისის ღირს-სახსოვრის პოეტის სრული ხატება და შესაბამი ბიოგრაფია.

გამომცემელნი.“

*
* *

„დროების“ მე-4 ნომერში იყო დაბეჭდილი, რომ „ამჟამად ჩვენს ქალაქში იმყოფება იტალიელი ქალი სერანაო“, რომელიც კავკასიის მხრის ასაწერათ მოგზაურობსო.

ეს ამბავი „კავკაზის“ მე-8 ნომერში ასე იყო გადაბეჭდილი: „ბაზეთის „დროების“ სიტყვით, ამ მოკლე ხანში თფილისში ჩამოვა იტალიელი ქალი სერანაო და სხვ.

შემდეგს, მე-9 ნომერში „კავკაზისა“ სწერია: „ღაგვიანებული გამოდგა ის ამბავი, სერანას ჩამოსვლისა, რომელიც „დროების“ სიტყვით, ჩვენს მკითხველებს ვაცნობეთ ამას წინათ: სერანა ეს ორი-სამი კვირაა, რაც თფილისში ჩამოსულა...“

თვითონვე სცრუის და თვეის სიცრუეს „დროებას“ აბრალებს...

რასაკვირველია, ამაზე ლაპარაკი მხოლოთ იმიტომ ღირს, რომ მკითხველს უჩვენოთ— თუ როგორ ჰკრებს და ბეჭდავს ამბებსა ეს პატივცემული გაზეთი.

*
* *

† ბატონს 18 იანვარს, აქაურს სემინარიის ეკკლესიაში გადაიხადეს პარაკლისი რუსის ისტორიკოსისა და აკადემიკოსის მიხეილ პეტრეს ძის პოგოდინისა, რომელიც ამ იანვრის დამდეგს მიიცვალა მოსკოვში.

*
* *

„თფილისის მოამბეს“ გაუგონია, ზოგიერთი თავად-აზნაურები ცდილობენო, რომ მარშლების ამორჩევების დრო მაისიდამ იანვარზე უნდა გადმოიტანონო.

ამ საგნის თაობაზე ჩვენ თანახმა ვართ „თფილისის მოამბისა“, რომელიც ამბობს, რომ არავითარი საფუძველი და საჭიროება არ მოითხოვსო, რომ ეს ამორჩევების დრო გამოიცვალოსო.

*
* *

ქალაქის ფოჩტის გამგეობა აცხადებს, რომ უბრალო წიგნები ამ ფოჩტაში საღამოსაც მიიღება, 5 საათიდამ 7-მდი.

*
* *

ხვალ 24 იანვარს, საღამოს 7½ საათზე ტეხნიკური კანცელარიის სადგომში, ბოლოვინის პროსპექტზე, სტ. ზარაფოვის სახლებში, იქნება ტეხნიკური საუბარი შემდეგს საგანზე: „თოვლისაგან რკინის გზების გაფუჭებაზე და ამისგან დასახსნელ საშუალებაზე.“

*
* *

შემდეგი საგულისხმო ამბავი გვეამბეს:

ერთი ესრედ-წოდებული ყმაწვილი კაცი, კარგად შეძლებული და კარგის გვარის-შვილი, ერთი სასარგებლო საზოგადოების წევრად იყო და არათუ წევრად—მდივნათაც. დიდს თანაგრძნობას უცხადებდა ეს პირი ამ საზოგადოების საქმეს სიტყვით და საქმით: დაჰპირდა, რომ 9 იანვარს საზოგადოებას ასს თუმანს შეესწირაო. მაგრამ 9 იანვრამდი საქმე როგორღაც ისე დატრიალდა, რომ, როცა ამ საზოგადოებაში თანამდებობის პირების არჩევა იყო, ეს ყმაწვილი ხელ მეორეთ მდივნათ ალარ ამორჩიეს. ამ შეურაცყოფისა და დამცირებისაგან (?) გაბრაზებულმა ყმაწვილმა, საზოგადოების თავმჯდომარეს მისწერა, რომ მე ალარ მსურს თქვენი წევრი ვიყოო და საჭიროთაც ალარ ვრაცხაო, რომ ასი თუმანი შემოვიტანო!..

ხომ კარგი მინუშია გონიერი თვემოყვარეობის?!

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი და გერცოგოვინა.

გერცოგოვინიდგან იმ კვირაში მოვიდა ამბავი, რომ აჯანყებულებს დაუმარცხებიათ ოსმალონი და დაუკავებიათ ტრებინიეს გზაო; ამ ჩხუბში დამარცხებულის მხრით ათასამდე მომკედარიყო კაცი. მხლა სულ წინალმდეგი ამბავი მოგვიტანა ტელეგრაფმა: ოსმალოებს ისევ ხელ-ახლათ დაუკავებია ეს აჯანყებულებისაგან წართმეული ადგილები. ჰგავს, რომ ეს ნამდვილი ჩხუბი არ ყოფილა; ისევ ჩვეულებრივ აჯანყებულები დაესხმოდენ მტრის ჯარს და მერმეთ, დამარცხების შემდეგ, ისევ თავს დაანებებდნენ დაკავებულს ალაგს; ეს ტაქტიკა იმათ დიდი ხნიდგან აქვსთ მიღებული; მხოლოდ უცხო ქვეყნის გაზეთები სთვლიან ამას ნამდვილ ჩხუბ თ.

— ავსტრიის ნოტ ზე, რომელიც ოსმალეთში რეფორმის პროგრამას შეიცავდა, უარი უთქვამსო, ამბობენ პარიჟელი გაზეთები, ან უკეთა ესთქვათ, თუ უარი არ უთქვამს, ასე მაინცა ცდილობს, რომ როგორმე აიცილოს თავიდგან ამ ნოტაზე თანხმობის გამოცხ დება. უველაზედ უფრო ანდრაში, ავსტრიის უცხო ქვეყნის საქმეების მინისტერი სცდილობს და შეიძლება ეთქვათ ძალას ატანს ხვანთქრის მმართებლობას მიაღებინოს ეს რეფორმების პლანი.

ნემეცურ გაზეთებს არა სჯერათ ეს ხვანთქრის მხრით უთანხმოება; ისინი ამბობენ, რომ თითონ ხვანთქრისაგან დაპირებულ რეფორმებს არაეინ არ დაერწმუნება, თუ საფუძლიანი საშუალება არ გვაჩვენა მათი აღსრულებისათვის; ასეც რომ იქმნეს, ნოტაში ნაჩვენებს საფუძველებზედ უკეთესს ის ვერ ს წარმოგვიდგენ ს. მეორეს მხრით არც ხვანთქარს შეუძლია რომ თაეის წინააღმდეგობის იმედი ექმნეს და მაშინ როდესაც მთელ მეროპას სხვანაირად სურს, შამ საიდუმლო ფირმანები გაუგზავნა კაიმაკამებს:

„რაც ოსმალოში ჩვენთვის საწამლაეათ მიგვაჩნია, ის აქ წამლათ უნდა ეიხმაროთ და ამისათვის მოიმძინარეთ თაეი ერთს დროზედ და როდესაც მწვადიც და შამფურიც დაიწვის თაეის თაეათ, მაშინ შეგიძლიანთ ადეილად ხელი მოითბოთ!“

ოყლაყ-ფაშის ამ გვარმა ხრიკმა მალე მოიტანა უანდიის საზიანო და მათთვის სასარგებლო ნამყოფი. ბაჩნდა შინაური უთანხმოება და ის მიზეზი იყო, რომ აჯანყებული უანდია ისევ მალე მოიდრიკა ოსმალოს უღელის ქვეშა...

ბ. ჭართველიშვილი

შენელობა, დღეს თუმცა ურგებია და უმჯობესი იქნებოდა ეს უქმად მყლაპელები სულ არ ყოფილიყენენ ჩვენს ქეყანაშიო, მაგრამ, რადგანაც ჯერ გარეშე მტერი არ მოგვეშორებია და ოსმალები მუდამ ჩაყლაპვას გვექადიან, ამისათვის საჭირო არის—ეს ორიეე წოდება, როგორც მაღალი ისე დაბალი, გაძლიერდეს, რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამფური, და ერთად შეერთებულის ძალით წინა-უდგებოდნენ გარეშე მტერსო, მით უფრო, რომ ოსმალოს სიძულილი მაღალ-წოდებას უფრო აქვს და რადგანაც მისგან დაჩაგრულადა ჰგრძნობს თავს, არ შაურიგდებაო.

იმ დასკვნის შემდეგ პატრიოტებმა დაიწყეს წყაროების გამოძებნა, რომ მათი ქეყანა თან-და-თან სიფხიზლეში მოსულიყო. უპირველეს საშუალებათ იმათ იხმარეს ხალხში განათლების შემოტანა, მით უფრო, რომ ეს ოსმალოს მმართებლობის სურეილიც იყო, მაგრამ რადგანაც მმართებლობას ისე მიჰყავდა სწავლის საქმე, როგორც მისთვის სჯობდა და პატრიოტები კი სცდილობდნენ, რომ მისთანა კვალზედ წასულიყო განათლება, რომელიც მხოლოდ ხალხს მოუხდებოდა, ამის გამო მათში მოხდა შეტაკება. ერთის მხრით ძალა იყო, მეორეს მხრით გონიერობა; ერთის მხრით —ნაჯახი, მეორეს მხრით ხერხი.

ამგვარის მოქმედებით კიდეე შეიძლებოდა, რომ უანდიას ოდესმე სული ჩადგმოდა, თუ რომ მოულოდნელ უბედურებას არ მოესწრაფა მისთვის დღე. ბაჩნდენ ახალი პატრიოტები, რომლებიც თუმცა სულითა და გულით პატიოსნები იყენენ და თავ-გაწირული კეთილ საქმეზედ, მაგრამ, რადგანც არ ჰქონდათ რიგიანი მომზადება და გამოცდილება, დამღუპავ გზას დაადგენ: იმათ დანახული ჰქონდათ, რომ მაღალ-წოდების ხალხს სხვაგან ენება მოაქცია და მაშასადამე არც ჩვენში უნდა იყენენო. აღარ მიხედეს დროსა და ეითარების მოთხოვნილებას. ბაიბენ დაბალ-ხალხში და სცდილობდენ მათს მომზადებას მაღალ ხალხის საპირდაპიროდ.

მითი გაუფრთხილებელი და წინდაუხედაეი, ყმაწეილური მოქმედება, რასაკვირველია, დაინახა დიეანმა; მაგრამ თაეი მოიმძინარა, რადგანც ხედავდა, რომ შინაური არეულობა თვით უანდიასეე აენებდა, დასცემდა და მით მაშინ მისი სურეილიც ადეილად შესრულდებოდა. უკანასკნელმა მმართველმა უანდიისმა ოყლაყ ფა-

იმან მაინც-და-მაინც თავის ნებაზედ წაიყვანოს საქმე.

როგორც უნდა იყოს, ერთი ნამდვილი ამბავი-კი ის არის, რომ ხვანთქრის მხრით ჯერ გადაწყვეტილი არა თქმულარა და ჰერცოგოვინაში კი გაუგზავნია ალი-ფაშა, რომ მოილაპარაკოს აჯანყებულებთან მორიგების მოხდენაზედ. ჰგავს ისევ ამათთან მორიგებას ამჯობინებს ხვანთქარი, რაც უნდა მძიმეთ მოუხდეს, ვინემდის ავსტრიის ნოტაზედ დათანხმდეს.

იტალია. გარიბალდის პროექტი რომის გარშემო არხების გაყვანაზედ არ მიუღია კანონ-მდებელ კრებას. ამბობენ, ვითომ ამის შემდეგ გარიბალდის თითონ რომის ქალაქის მმართებლობისათვის წარედგინოს თავის პლანები. სხვანი ამბობენ, რომ ჯერ-ჯერობით გარიბალდი აღარაფერს შესდგომია ამ პლანების ასრულებისთვისაო.

—კანონ-მდებელ კრებაში იყო ბაასი ამ წლის ბიუჯეტზედ; ამ ბაასიდგან აღმოჩნდა, რომ მთელი საკოროლოს შემოსავალი არის: 1,468,004 424 ფრან. ლოტოდგან შემოდის — 86,400,000 ფრ., ქალაქის საბაჟოებიდგან — 76,082,027 ფრ., წისქვილებიდგან — 88,189,790 ფრან. ყველაზედ უფრო ხალხს ეს გადასახადი აწუხებს და ეჯავრება; ამიტომაც მოწინავე პარტიას ყოველივე თავის ღონის ძიება უხმარია ამ გადასახადის მოსპობისათვის, მაგრამ გასაკვირველი არ არის, რომ ეხლანდელ იტალიის მდგომარეობაში ამდენი გადასახადის მოსპობა შეუძლებელია; მაგრამ ამ ბაასიდგან ის სარგებლობა მაინც გამოვიდა, რომ ხალხმა დაინახა ამ გადასახადის საფუძველი, რომ ეს გადასახადი სამართლიანი არ არის და მხოლოდ მისთვის არის შემოღებული, რომ მეტი საშუალება არა აქვს სახელმწიფოს დააკმაყოფილოს თავის მოთხოვნილება. ამნაირათ გამოჩნდება ხოლმე სახელმწიფო სიღარიბე და მისი ფინანსის გაჭირვებული მდგომარეობა.

საფრანგეთი. პარიჟიდგანაც მოგვივიდა ამბავი სენატორების ამორჩევაზედ. იმ ორას ოცდა ხუთში, რომელიც უნდა ამოერჩიათ, ჯერ-ჯერობით შევიტყეთ, რომ ას ოთხმოცდა ხუთმეტი (195) ამოურჩევიათ; ამათში ოთხმოცდა-ათი რესპუბლიკელები ამოურჩევიათ, ორმოცი (40) ბონაპარტისტები, სამოცდა ხუთი (65) მონარხისტები; კიდევ აკლია ოც-და-ათი (30) სენატორი. ამათ, რომ ის სენატორებიც მოუმატოთ, რომელიც ნაციონალურმა კრებამ გამოარჩია, გამოვა, რომ სულ დღემდის ას ორმოცდა შვიდი (147) რესპუბლიკელი არის ამორჩეული და ას ოცდა სამი (123) მონარხისტები საზოგადოთ, ბონაპარტისტებიანათ; ასე რომ დღემდის ყველაფერი აჩვენებს რესპუბლიკელების გამარჯვებას; უსათუოთ სენატის უმეტესი ნაწილი რესპუბლიკელები იქმნებიან და ამ მხრითაც რესპუბლიკის სიმტკიცე დამყარებული იქმნება.

ბიბლიოგრაფია

H. Taine. Les origines de la France contemporaine. Tome I. L'ancien régime. Paris. Hachette. 1876. (ჰ. ტენი. დასაბამი თანა-მედროვე საფრანგეთისა. — ტომი I. ძველებური რიგი.)

ამ დღეებში გამოვიდა პირველი ტომი უფ. ტენის თხზულებისა „დასაბამნი თანა-მედროვე საფრანგეთისა.“ ეს წიგნი შეიცავს „ძველებურ რიგსა,“ „რევოლიუცია და ახალი რიგი“ შეადგენენ თხზულების განგრძელებას და დასასრულსა.

უფ. ტენი დიდიხანია განთქმულია ჩინებულ მწერლათ და ფილოსოფოსათ; ამ ახალ წიგნით მან გამოიჩინა თავისი ნიჭი ისტორიკოსისა.

მშვენივრათ და წერილი, ადვილათ წასაკითხი, ეს წიგნი ცხადათ წარმოგვიდგენს საფრანგეთის ცხოვრების დიდ-რევოლიუციის წინ, ლუი-მეთოთხმეტის მეფობის დროს. მეფის პალატნი, დიდ კაცეებთ სასახლენი, გლეხ-კაცის ქოხი-ერთის სიტყვით, მთელი ქვეყანა იმავე სიმართლით და პირუთნელობით იმ დროის საზოგადოების წყობას, ხასიათს და ჩვეულებაებს, სიტყვიერებას და ფილოსოფიას, დაბალ ხალხის მდგომარეობას, საყველო საზოგადოების მოვლენას — უფ. ტენი აძლევს თავის წიგნში ჯეროვან ადგილს, - პარტიის და ავტორიტეტის მიუხედველათ, მხოლოდ ჭეშმარიტების მძებნელი.

ფაქტები და აღწერა — აი უფ. ტენის მეთოდა; მკითხველს ნება აქვს რაც უნდა იფიქროს ნაამბობზე. ფუჭი ფრაზები, მაღალი და დიდი აზრები წიგნიდამ გამორიცხულია, მაგრამ ცოდნით და სიმართლით არის აღვსილი.

მე სრულებით არა მაქვს ფიქრში გავარჩიო და დავაფასო ამ წიგნის ღირსება, ეგ ბიბლიოგრაფისტის საქმე არ არის. მაგრამ არ შემიძლიან არ წარუდგინო მკითხველს მიზეზი უფ. ტენის წიგნის დაწერისა. თვით ავტორი გამოსთქვამს ამ მიზეზს თავის წინასიტყვაობაში.

ამ ოთხმოც-და-ათ წელიწადში საფრანგეთმა ცამეტ-ჯერ გამოიცვალა თავისი სახელმწიფო წყობა და მართებლობა და აქამდის ვერ უპოვნია იმისთანა პოლიტიკური ფორმა, რომელიც მისთვის საჭიროა. — რა არის ამის მიზეზი?

დავანებოთ სიტყვა ისტორიკოსს, იმაზე უკეთესათ არავინ გამოსთქვამს.

უფ. ტენი პოლიტიკურ (სახელმწიფო) წყობას ადარებს სახლს და ამბობს:

„მე მგონია რომ სახლი არხიტექტორისთვის არ უნდა იყოს აშენებული, არც მარტო სახლი-სახლათ, არამედ თვით პატრონისთვის რომელიც იმ სახლში იდგება.“ საფრანგეთის ხალხის დაკითხვა — თუ რომელი პოლიტიკური წყობა იმისთვის საჭირო — ცარიელი თვალთმაქცობაა: „ათი მილიონი უცოდინარობა ცოდნას ვერ შეადგენს.“ — „ხალხს შეუძლიან კიდევ თქვას რომელი პოლიტიკური ფორმა ყველაზე უფრო მოსწონს, და არა ის ფორმა რომელიც მისთვის საჭიროა; ამას მარტო ცხოვრებაში გამოსცდის; ხალხს ხანი უნდა რომ შეიტყოს თუ მისი პოლიტიკური სახლი მარჯვე და მაგარია, შეუძლიან თუ არა ავდარს გაუძლოს; ვარგა თუ არა მის ჩვეულებათათვის, მის მუშაობისთვის და მის ხასიათისთვის.“

თუ სხვა ხალხის პოლიტიკურ სახლმა აქამდის გასძლო, ეს იმას მიგვწერება რომ მისი სახლი ერთბაშათ არ იყო აგებული, არამედ დრო-დროით აშენებული, საჭიროებისა დაგვარათ გაახლებული და გავრცელებული ერთ რომელიმე ძველ შენობის გარეშემო, რომელიც მუდამ დაუნგრეველი შენახული იყო.

საქმე იმაშია რომ ჩვენ ჩვენი პოლიტიკური წყობა ვიპოვოთ, და არა იმის ამორჩევაზე კენჭი ვყაროთ. ამ პოვნაში ჩვენი სურვილი ტყუილია, — ჩვენმა ბუნებამ და ჩვენმა ისტორიამ წინათვე მიგვიჩინეს ჩვენი პოლიტიკური წყობა.

საზოგადოებითი (სოციალური) და პოლიტიკური ფორმა, რომელშიაც ხალხს შეუძლიან შევიდეს და დარჩეს, იმის ნებაზე არ არის დამოკიდებული, არამედ განსაზღვრულია მის ხასიათით და მის წარსულით.“ ეს ფორმა თუ სწორეთ ხალხის ხასიათზე არ არის ჩამოსხმული უთუოთ დაინგრევა. — „ამიტომაც თუ ჩვენ როდისმე ვიპოვით ჩვენ ფორმას მარტო ჩვენი თავის შესწავლით, და რაც რო კარგათ ვიცნობთ ჩვენ თავს, იმით უფრო ბეჯითათ შევიტყობთ რაც ჩვენთვის შესაფერია.“ (Préface, II-III)

ამ ჭეშმარიტების დასამტკიცებლათ საფრანგეთის ცხოვრებაა ამ საუკუნეში.

ხალხმა თუ თავისი წარსული დაივიწყა, მომავალში ჭირის მეტს ვერას ნახავს! — აი ეს ფიქრი რჩება კაცს თავში უფ. ტენის წიგნს რო გაათავებს. —

ა. ს.

ქუთაის, 1876 წ.

სამართალი

ივლიტე მიქელაძის ქალის საქმე

ბუშინ, 21 იანვარს, პალატამ გასინჯა ივლიტე მიქელაძის ასულისა, რატიანის ცოლის საქმე, რომლისათვის შარშან ქუთაისის ოლქის სასამართლომ მკვლელობისათვის თორმეტი წლის ვადით ციმბირში ზავოდებზე სამუშაოთ გაგზავნა გადუწყვიტა.

აი საქმე რაში ყოფილა: როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, რაოდენიმე წლის განმავლობაში ივლიტე მიქელაძის ასულთან დაახლოვებული მეგობრობა ქონია ერთს რატიანს, ივლიტას ქმრის სახლი-კაცს. ამ რატიანს ბოლოს ცოლი შეურთამს და ყოველ გვარი კავშირი გაუწყვეტია თავის უწინდელ მეგობართან. ეს ამბავი არაფრად მოსწონებია მიქელაძის ქალს და მაგიერის გარდახდა გაუვლია გულში.

ერთს ღამეს ამ ქალს დაუპატიჟნია ვახშმათ თავისი უწინდელი მეგობარი. და ნავახშმევს, როცა ეს კაცი მიდიოდა, კარებთან ნაჯახით თავი გაუპო.

ამ საქმით შეშინებულს ივლიტეს თავისი ბიჭისათვის მკვდარი ტეხურში გადაუგდებინებია.

მიქელაძის ქალის ვექილად პალატაში იყო უ. ნ. უიფიანი, მაგრამ რადგანაც, გზების შეკრულობისა გამო, ქუთაისიდამ თავის დროზე ვერ მიუღია ოფიციალური ვექილობა, ამისათვის პალატამ ნება არ მისცა მას ელაპარაკნა თავის კლიენტის სასარგებლოთ.

ამის გამო ილაპარაკა მხოლოდ ორმა პალატის დანიშნულმა ვექილმა.

პირველი მათგანი ამტკიცებდა, რომ ივლიტე მიქელაძის ასულს რატიანი შემოაკვდა გულის-მოსვლის დროს და არა წინ-და-წინ განზრახული აზრით და ამ საფუძვლით სთხოვა პალატას შეუმსუბუქოს სასჯელი იმის კლიენტს.

მეორე ვექილმა, რომელიც ბიჭის სასარგებლოდ ლაპარაკობდა, ორიოდე სიტყვის შემდეგ, სთხოვა პალატას სასჯელის შემსუბუქება თავის კლიენტისათვის.

პალატამ დასდვა შემდეგი გარდაწყვეტილობა:

ნარევი

რუსეთის ერთი გუბერნიიდამ შემდეგ ამბავს იწერებიან რუსულ გაზეთებში:

ერთს რუსის გლეხს ძრიელ დაავათმყოფებია ცოლი. ბევრი დაუხარჯავს ექიმებზე და მარჩიელებზედაც; მაგრამ მაინც არაფერი შეღავათი მისცემია ავათმყოფს. ბოლოს დაუძლურებული ცოლი ეუბნება ქმარს: „ჩემს მორჩენას ხომ მაინც საშველი არა აქვს და იმდენი წყალობა მიყავი, რომ უცბათ გადამარჩინე ამ წვალებას: ამიღე და ჩამაგდე ჭაშიო“. ქმარს დიდი ხანი აღარ უფიქრნია, შეუბამს ხარები ურემში, წაუღია ცოლი და ჩაუგდია ჭაში. — ჭა დაბალი ყოფილა; ცოლს დაუწყნია თავის თხოვნა და ჭის სიღრმიდამ ეხვეწება ქმარს — ნუ დამახრჩობო! მაგრამ ქმარს აღარ უთხოვია ყური იმის თხოვნისთვის და რამდენჯელ ამოფორთხდება ცოლი ჭიდამ, ქმარი იმდენჯერ ხელს ჰკრამს თურმე. — ბოლოს სულაც ჩაუღრჩვია. ამ დროს აქვე ერთი გლეხი მდგარა; გაქცეულა და ეს ამბავი პოლიციისათვის შეუტყობინებია. მისულა პოლიცია; ამოუღიათ დამხრჩვალი და ქმარი დაუჭერიათ. — როდესაც ქმარს ჰკითხეს: რათ ჩაიდინე ეს საქმეო? „თვითონ შემეხვეწაო!“ უპასუხა თურმე გულრწფელათ.

* *
*

აი კიდევ ფილადელფიის მსოფლიო გამოფენის შესახებ. ქალების კომიტეტს შეუკრებია 30,000 დოლარი (35,000 მან.) საკუთარი პავილიონის ასაშენებლათ — გამოფენის საზოგადო შენობაში. ამ პავილიონში, როგორც იწერებიან, მარტო ქალების ხელთნასაქმი ნივთები იქნება გამოფენილიო.

საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად

რის ზუტმანი, ქიმიკოსი პეშტიტამ,

იმპერატორის სასახლის მეიჯარადრე

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყნების სასახლეებისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოყვარეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.



1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენის დროს, ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მიეცა და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელს.

გამოგონი პასუხს აგებს

ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.

პრეის-კურანტი:

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველასათვის—1 მ. და 50 კ. პატარა ბოშკა ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.

უმთავრესი დეპო არის თფილისში, დეკორატორის ქუჩაზე, არწრუნის ქარხანასთან, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვლადიკავკაზში, სეგალთან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; სტავროპოლში—პურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ.

აქვე ისყიდება თმის საღებავი. 54—2

დაიბეჭდა და ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე სხვა ქალაქებში

ლექსნი

თქმულნი

თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან

ფასი ყველგან ერთი აბაზი.

3—1

ღვინის სარდაფში

„ყვარელში“

ახალად მოიტანეს ჩინებული ღვინოები და ძალიან იაფ ფასად ისყიდება.

ბატონებს სთხოვენ, ამ ღვინოს ყურადღება მიაქციონ.

3—3

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (ფუმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

იეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი.

—

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—5

კავკასიის საბეგიო ინსტიტუტი სამშობიარო ღონისძიებით

(შერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაური; ღარიბები მუქთად. ღონისძიებალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველდღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე დილის 8 სათიდამ 9½-მდი დოქტორი არტემიევი და 9½-დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, დილის 11 საათიდამ 12 მდი დოქტორი ალბანუსი და ქაპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა.

ქველიერის კვირაში, ხუთშაბათს, პარასკევსა და შაბათს 12, 13 და 14 თებერვალს, დილის 11 საათიდამ

თფილისში, დიდი ქნიაგინას ოლგა თეოდორეს ასულის საქალაქო ბიმნაზიის ზალაში იქნება

თამაში

უმაღლესად ნებართველის ლატარეისა სასარგებლოდ

კავკასიის აქთა და იქით მხრის კეთილ მომძებედ და აღმზრდელ დაწესებაებისა, რომელნიც არიან დიდი ქნიაგინასი ოლგა თეოდორეს ასულის შაევგუსტოესს ძროუველობის ქვეშ.

იმ დაწესებათა და პირთ, რომელთაც კეთილინებეს ამ ლატარეისთვის ბილეთების გასღება და რომელთაც ჯერ არ შემოუტანიათ ფული, პრეძიტეტი სთხოეს წარმოადგინონ ფულები ლატარეის კომიტეტში, თფილისში არა უგვიანეს 1 თებერვლისა.

გაუყიდელი ბილეთები თამაშის წინ დღემდი მიიღება საქალებო ბიმნაზიაში, სადაც გამოფენაა.

თამაშის (ტირაჟი) დღეს დაგრეთვე შემდეგ, ვინც რას მოიგებს, იმწამსვე მიეცემა მოგებული ნივთი, როგორც ლატარეის ბილეთს წარადგენენ.

დაიბეჭდა და ისყიდება ქალანდაძის და აბხ. წ გნი მაღაზიაში და ანჩისხატის სობოროს გალავანში ი. ახალშენოვთან.

ლექსიკონი

ახუ

განმარტება ფსალმუნთა სიტყვათა, შესაბებ ისტორიულის და გეოგრაფიულის სტატიებით; ამასთანავე მეორე ნაწილი განმარტება ფსალმუნთა ზედა წარწერილთა.

შედგენილი და გამოცემული ი. ახალშენოვისაგან.

ფასი ექვსი შაური.

(3—3)

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ—ხუთშაბ. შუადღეზე

სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს—ოთხშაბათს, დილით.

ოდესას—ოთხშაბათს, შუადღეზე.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი.	4	„	3	„	1	„
ჭერჩამდი.	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ბათუმის, ფოთს	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ბათუმისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდს., ოზურგეთს—პარასკ და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს—სამშ. და შაბ.

ბ) ბათუმიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

პეტერბურგი, 19 იანვ.

მრთი მანეთი ღირს:

ლონდონში 32 პენსი.	—	84
პარიჟში 334 სანტიმი.	—	89
ესკონტი(სარგებლისფასი)	5	
ბანკის ბილეთი 5%	100	25
მოგებიანი(პირველისესხი)	226	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	217	75
ბარაოს ფურცლები:		
თფილ. საზღ. ბანკისა.	94	—
ხერსონის ბანკის (5½)	88	—
მოსკოვის (5%). . .	86	75

აქციები:

ოდესის სავაჭრო ბანკის	172	—
ფოთი-თფილ რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირველ. საზღვეკ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ	257	65

მაზანდა

თფილისი, 22 იანვ.

	მან.	კაპ
პური შორაგალის ფთ.	—	90
ქერი ფუთი. . . .	—	55
ბამბა პრევნისა, ფუთი .	5	40
—ამერიკისა, ფუთი. .	6	30
გაპინტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყული თუშური ფთ .	7	50
—მარაქამისა ფთ. .	7	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ძაფი, ფუთი. . .	4	—
ძაფის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	55
—ცხერისა, ლიტრა. .	—	65
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	80
—ფხვნილი ფუთი . .	6	40
ჯაგა გრგვლი ფუთი .	19	25
ზეთი ქუნჟუთისა ფთ.	6	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	6	15

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Января 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.